დაიჯესტი

24 - 30 სექტემბერი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

საგამოძიებო სამუშაოების შედეგად, ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტმა სამსახურიდან გაათავისუფლა 50 წლის რიგზ კუონგი. მას მიმდინარე წელს მომხდარ ანტი-ისლამურ თავდასხმაში ედება ბრალი. გავრცელებული ინფორმაციით, რიგზ კუონგი ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტში 18 წელი მუშაობდა.

ბელგია

ბელგიის პოლიციამ ქალაქ ანტვერპენთან ახლოს, 28 სექტემბერს ჩატარებული ანტიტერორისტული სპეცოპერაციის დროს 36 წლის ულტრამემარჯვენე ექსტრემისტი გაანეიტრალა. საპატრულო სამსახურის განცხადებით აღნიშნული პირი ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორისტული თავდასხმის განხორციელებას გეგმავდა.

რუსეთის ფედერაცია

26 სექტემბერს, ქალაქ იჟევსკის 88-ე საჯარო სკოლაზე განხორციელებულ შეიარაღებულ თავდასხმას სულ მცირე 17 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მომხდარის შედეგად დაშავებულია 24 ადამიანი. თავდასხმის დროს თავი მოიკლა 34 წლის ნეონაცისტმა თავდამსხმელმა, არწიომ კაზანცევმა. საგამოძიებო კომიტეტის განცხადებით, მიმდინარეობს თავდასხმის მოტივის დადგენა.

თურქეთი

მერსინის პროვინციაში 26 სექტემბერს ქურთისტანის მუშათა პარტიის მიერ განხორციელებული თავდასხმის დროს დაიღუპა სამი და დაშავდა ორი ადამიანი. დაღუპულთა შორის ორი თავდამსხმელი და ერთი პოლიციის ოფიცერია. თავდასხმის შედეგად დაშავდა ერთი სამოქალაქო პირი.

27 სექტემბერს სტამბულის ანტიტერორისტული პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებულია ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან დაკავშირებული 25 პირი. ადგილობრივ გამომცემლობა ჰურიეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებების სერია ექვსთვიანი საგამოძიებო სამუშაოების შედეგად განხორციელდა.

ერაყი

ერაყის თავდაცვის მინისტრმა, ჰულუსი აკარმა, ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ შირნაკში ვიზიტისას, გაავრცელა ინფორმაცია ძალადობრივი ექსტრემისტების 16 სამალავის (გამოქვაბულის) განადგურების შესახებ.

მაროკო

მაროკოს პოლიციის მიერ 29 სექტემბერს გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო მონაცემების დახმარებით, ანტიტერორისტულმა ერთეულმა დაეშთან დაკავშირებული 29 წლის პირი კასაბლანკაში დააკავა.

ბურკინა-ფასო

ოფიციალური უაგადუგუ ავრცელებს განცხადებას ტაპოას პროვინციაში სამხედრო დანაყოფებზე 25 სექტემბერს განხორციელებული თავდასხმის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციით, ჯიჰადისტების მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა „მამულის მცველ მოხალისეთა კორპუსის“ ორი წევრი.

ინდოეთი

27 სექტემბერს, უსაფრთხოების სამსახურებმა სამხედრო სპეცოპერაციის ფარგლებში ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთში, კარნატაკას შტატში, ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან არაპირდაპირ დაკავშირებული ინდოეთის სტუდენტთა ისლამური მოძრაობის ორასამდე წევრი დააკავეს.

ავღანეთი

30 სექტემბერს, ქაბულში ერთ-ერთ მეჩეთთან დანაღმული მანქანის აფეთქებას სულ მცირე 7 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აფეთქების შედეგად დაშავებულია 41 ადამიანი. ავღანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, აბდულ ნაფი ტაკორმა, მომხდარს

ტერორისტული თავდასხმა უწოდა. ამ დრომდე მომხდარზე პასუხისმგებლობა არცერთ ძალადობრივ ექსტრემისტულ ორგანიზაციას არ აუღია.